1945

№6 1945
თბილისი
ფასი 2 ₾.

ნიანგი

გამოდის
წელი XXII
გამომცემლობა „კომუნისტი“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ა. კანდელაკისა

ზარმაცის ღირიკა

მინდორში, ბალახ-ბულახში თავს იწონებდა იაო,
თავს თავმჯდომარე წაადგა, ერთი ზარმაცი ძიაო,
ალერსით უსაყვედურა: სიმინდი რად არ გქვიაო,
შენ არც გათოხნა გჭირდება, არც თესვის კამპანიაო.

გრამაფონის გაკვეთილზე გერმანიის სკოლაში

ნახ. დ. რიონელისა

— კურტი მშვიდად ზის ოთახში, ძეხვებს შეექცევა, ყავას მიირთმევს და სრულიადაც არ ეშინიან ყუმბარებისა, რომლებიც მისი სახლის ახლოს სკდებიან... როგორი წინადადებაა ეს, ბავშვებო?

— ტყუილი წინადადება, მასწავლებელო!

ჰანს კრაუსი არა ხუმრობს

ბერლინის პოლიციის თვალსაჩინო მოხელე ჰანს კრაუსი ოთხ თვის ნერვიულად უკაკუნებს მაგიდას და ცოლს ეუბნება:

— ჰა, რას იტყვი, მატილდა? მოგწონს? ხომ კარგად მოვიფიქრე?

— სხვა გზა რომ არ არსებობს! — უპასუხებს ცოლი.

— ასე გააკეთა კურტ ფიშერმა, შპრემ... ორთავემ თავი გადაირჩინა...ჰა...ჰა...ჰა! შესანიშნავი ხერხია. უეცრად გარდაიცვალე... „დაგასაფლავეს“, შემდეგ ახალი პასპორტი და ისეირნე მადრიდში რამდენიც გინდა. იქ ხომ ჩვენი ბიჭებია და რომ შეგიტყონ კიდევაც გვარის გამოცვლა, ხმას ვინ გაგცემს!

— მე და კარლიც ხომ შენთან ვიქნებით, ჰანს? ხომ არ მიატოვებ ცოლსა და შენს პატარა ბიჭუნას?

— რა სათქმელია, ჩემო კარგო უთქვენოდ რა გამაძლებინებს! — ამბობს ჰანსი და მაგიდას სცილდება. ორ წუთს ბოლთას სცემს ოთახში. შემდეგ თვალები გადაუტრიალდება და ფიანდაზზე მოსხლეტით გაიშხლართება.

— კი მაგრამ, ჯერ რა დროსია, — ეუბნება გაკვირვებული მატილდა, — ჯერ ხომ საოჯახო საქმეები გვაქვს მოსაგვარებელი. სჯობია ხვალ მოკვდე, ჰა, ჰანს, რას იტყვი?

ჰანსი ხმას არ სცემს.

— კარგი, თუ ღმერთი გწამს, რა დროს ხუმრობაა! აბა, ჰანს, ადექი. რა კუდით იმ ოქროფულობას, სპილოს ძვლის ყუთში რომ გვაქვს?

ჰანსი გატრუნულია.

— იცოდე ნუ გამაბრაზებ, [illegible] დაგასხამ... კარლ! — უძახის მატილდა შვილს, — მოიტანე ერთი ჭიქა წყალი.

კარლი წყალს მოარბეინებს.

— მიდი და ყელში ჩაასხი მამას.

— გამლახავს. — ამბობს კარლი.

— ნუ გეშინიან! ჩაასხი და გამოიქეცი. რას გაგლახავს, მე აქ არა ვარ?

კარლი ფრთხილად მიეპარება იატაკზე გაშოტილ მამას, დაუმიზნებლად მიასხამს წყალს და გამორბის.

მაგრამ რა ვაჟკაცი უნდა იყოს ფაშისტური პოლიციის მოხელე, რომ ერთმა ჭიქა წყალმა განზრახვა შეაცვლევინოს! წარბსაც არ იხრის.

— კარგი, რა, ჰანს, რა დროს ხუმრობაა, გენაცვალე! ხვალისათვის გადავდოთ სიკვდილი, — ახლა კი, აი, ხომ საჭიროა გეგმის შედგენა. თუ სად და როდის შევხვდებით ერთმანეთს... შენ ალბათ გინდა მიგვატოვო მე და კარლი. გრცხვენოდეს, ამისათვის გვეფიცებოდი, ამ ქვეყნად თქვენს მეტი არავინ მყავსო?!

ჰანსი თავის საქმეს პირნათლად ასრულებს. სრულიადაც არ აქვს ცოლშვილის ჯავრი.

მატილდა ბრაზობს.

— არ გინდა სიკვდილი? მე შენ გიჩვენებ სეირს! — ამბობს იგი და განჯინისაკენ მიემართება. იქ მოძებნის მდოგვს, ჭურჭელში ჩამხმარ მდოგვს, ხელახლა გახსნის ძმარში, შიგ პატარა ჯოხს ჩაასველებს, მიდის ჰანსთან და ამ აუტანელ სითხეს ცხვირში გამოუსვამს.

ფრიად ჯიუტი გამოდგა ჰანსის ცხვირი, ერთხელაც არ დააცემინა.

— ეს იმას ნიშნავს, რომ შენ სრულიადაც არ გიყვარვარ! — გაწიწმატდება მატილდა. — თუ ასეა მე იმ ფერმერს გავყვები, რომელიც შენ ასე გძულს და თითქმის ორი წელიწადია ეჭვიანობ მასზე, აგერ, მოდის კიდევაც!

მატილდა ცრუობს, მაგრამ ამ დროს ვიღაცა მართლაც მოაბაკუნებს კიბეზე. მატილდა გაიხედავს: სტუმარი პოლიციის ექიმია, ჰანსის ამხანაგი.

— არ დაუჯეროთ, ჰერ დოქტორ! — ამბობს მატილდა. — ჰანსი ხუმრობს, მას უნდა თავი მკვდრად გამოაცხადოს და შემდეგ ახალი პასპორტი აიღოს სხვა გვარზე, როგორც სხვებმა ქნეს...

— კი, მაგრამ ამისათვის იატაკზე წოლა რა საჭიროა! აბრძანდით, ჰერ ჰანს, ეგ საქმე უმაგისოდაც მოგვარდება. — მიმართავს ჰანსს ექიმი.

ექიმი დინჯად უახლოვდება ჰანსს, პულსს უსინჯავს, კარგახანს უკვირდება და ხუმრობის გარეშე ამბობს:

— ჰანსი მართლაც გარდაცვლილა, ალბათ გულის დამბლის ნიადაგზე. ჰანს კრაუსი არ ხუმრობს, ქალბატონო!

გ. ივანიშვილი

კაგო და ძეხვი

საკოლმეურნეო ვაჭრობის აბრით ზოგიერთი წერტი სპეკულაციას ეწევა.

ნახ. შ. ბერიტაშვილისა

კატა ვერ შესწვდა
ძეხვსაო...

კატო ვერ შესწვდა
ძეხვსაო...

მგელს მგლობა ეარქვა—
ხალხურამ ქვეყანა დააქციაო,

ნახ. ა. კანდელაკისა

— მეფრინველეობის ფერმის გამგემ ქათმები შეჭამა—მე დამაბრალეს, მწყემსებმა ბატკნები შეჭამეს—მე დამაბრალეს, სარევიზიო კომისიის წევრებმა გოჭები შეჭამეს—მე დამაბრალეს. ახლა ტრაქტორი დაკარგულა და მეშინიან თავმჯდომარემ მისი შეჭმაც მე არ დამაბრალოს.

პრემიერა

ს... ში კვირა დღეს ბაზრობაზე ხალხთა მრავლობაა. ყველა ვერ ახერხებს იმ საღამოსვე გაბრუნებას და ღამის სადგომ ... ბინაში რჩება. თეატრისთვის სარფაა. პრემიერ ... ნოს, მზადა აქვს მუსიკალური კომედია „ოქროს გასაღები“. მაგრამ ერთი რამ აწუხებს რეჟისორს: თეატრის მცირე შტატი მასიურ სცენებს ვერ გასწვდა. ფაშისტ ჯარისკაცთაგან ერთიც არ გააჩნია, როცა რამდენიმეა საჭირო.

თეატრის დირექტორს, გალეულ, მგლოტ კაცს, რომელიც გამჭრიახობით არასოდეს გამოირჩეოდა, კარგი აზრი მოუვა: სასტუმროში კოლმეურნე ახალგაზრდები იქნებიან, სთხოვონ, არ იუარებენ.

რეჟისორი კეფაში ქუსლების ცემით მირბის სასტუმროში. იპოვნის ბიჭებს, კრთომით, შუდარით, ბოდიშით სთხოვს დაეხმარონ.

ბიჭები სიხარულით ცას ეწევიან: დროს გაატარებენ, წარმოდგენას ნახავენ, თანაც მონაწილეობას მიიღებენ. ქაჩაჩებში მისდევენ რეჟისორს.

მათი როლები სულ იოლია, სახელდახელოდ მოამზადებენ, ტანსაცმელს მოარგებენ და ერთი საათით გვიან გაჰხსნიან ფარდას.

პრემიერა მშვენივრად მიდის. პარტერში სიცილი და ტაშისცემაა.

თეატრის დირექტორს სიამოვნება გადაჰფენია სახეზე. ფაშისტ ჯარისკაცთა ტანსაცმელში გამოწყობილ კოლმეურნე ბიჭებს გარს უვლის, მხრებზე ხელს უთათუნებს, აფამამებს.

ბიჭები ფანერის ავტომატებს ატრიალებენ, ტანსაცმელზე და ქუდებზე დახატულ თავისქალას და ლავიწებს შეჰყურებენ-და იჭვნეულად აქნევენ თავს.

მათი დროც დადგება, გაამწკრივებენ და უბრძანებენ: ნაბიჯით იარ!.. გავლენ სცენაზე, ერთ ადგილს დაერჭობიან და ელიან ოფიცრის შემოსვლას.

ოფიცერი შემოდის.

მოკარხახე გარკვევით ეუბნება „ფაშისტ ჯარისკაცებს“ შეჰყვირონ: „ჰაილ ჰიტლერ!“

რეჟისორი კულისებიდან ხელს უქნევს და იმასვე ეუბნება. დირექტორიც, მემანქანეც, მეკარეც შეშფოთებულნი დარბიან კულისებში, ანიშნებენ, ეშუდარებიან, უბრძანებენ. მაგრამ ბიჭები არ ირხევიან. მხოლოდ ყველაზე უმცროსი გაბედავს, და უფროსს უჩურჩულებს: „რას ნიშნავს ჰაილ?“

— მგონი გამარჯვებას!..—ბუზღუნებს უფროსი...

— ჭირი და სნებაც შეჰყრია!.. აი, თურმე რა უნდა გვათქმევინონ!

— კრინტი არ დასძრა!..

პარტერში მიხვდებიან, რაღაც გაუგებრობაა სცენაზე. სულს გაკმედავენ და ესმით რომ ორ ემუდარება რეჟისორი ნაგუბარი ბოღმით საკვე ხმით:

— სთქვით, სთქვით!.. თქვენ ხომ ფაშისტი ჯარისკაცები ხართ!..

ამაყი, შავტუხა ბიჭი ველარ მოითმენს და აყვირდება:

—მიჭარავთ!.. ჩვენ კომკავშირლები ვართ კოლმეურნეობა „სიმართლიდან“!

პარტერში ტაშს შემოჰკრავენ.

— რეჟისორ მეწაღე, რეჟისორ მეთულუხჩე!..

აყვირდებიან ჭანდარაზე.

ოთარ ჩხეიძე

რასაც დასთეს იმას [illegible] მოამკი

სწავლა მოსწავლეთა

ანუ

ქართველ მწერალთა ბაკვეთილი გამოუცდელ მზვნელ-მთესველთათვის

ახე წავიდნენ ქართველი მწერლები ყანის დასათესად გაზაფხულზე დ...

ახე დაბრუნდნენ შემოდგომაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულშემაჯკივარი მგლები

ამ ბოლო ხანებში მსოფლიო მეცნიერ-ზოოლოგთა ყურადღებას იპყრობს არაჩვეულებრივი მოვლენა: საგურამოში (საქართველო) აღმოჩენილ იქნა გასაოცარი ᲮᲘᲡᲘᲡ ᲛᲒᲚᲔᲑᲘ, რომელთა ზნე-ჩვეულება უდიდეს მეცნიერულ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

რამოდენიმე ხნის წინად საგურამოს მგლებმა შეშამეს იღ. ᲯᲐᲕᲘᲯᲐᲕᲐᲫᲘᲡ სახელობის შემოკქმედებითი სახლის მახლობლად ორი ხბო. ეს ხბოები ლიტფონდს ეკუთვნოდა. მათ კისერზე ლითონის ნომრები ეკიდათ, რომლითაც ისინი სხვა საქონლისაგან განირჩეოდნენ.

მგლებმა, ხბოების შეშმის შემდეგ, აღნიშნული ლითონის ნომრები გამოსაჩენ ადგილზე დასტოვეს წარწერით: „არ დაკარგოთ," რათა პირდაპირ დამნაშავეებს თავიდან ასცდენოდათ ყოველგვარი პასუხისმგებლობა.

ეს გასაოცარი ფაქტი სავსებით გამორკვეულია და დადასტურებული ლიტფონდის გამგეობის მიერ.

ლონდონში არსებული ბრემის სახელობის მეცნიერ-ზოოლოგთა საერთაშორისო საზოგადოებამ წერილით მიმართა მოსკოვის და თბილისის აკადემიებს ამ ამბის დადასტურების შესახებ და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ გამოჰყო სპეციალური კომისია საგურამოს მგლების გაცნობისა და მათი გენეალოგიის და ზნე-ჩვეულებათა მეცნიერული შესწავლისათვის. კომისია 67 კაცისაგან შესდგება. იგი უკვე იანვრის ბოლო რიცხვებში მოსკოვში ჩამოვიდა და ამჟამად თბილისში იმყოფება. აქედან იგი აპრილის ბოლო რიცხვებისათვის საგურამოში აპირებს წასვლას.

აუთიაქარის და მევენის საქმიანობა

ამავსებ ხინ,
აგავსებ ლქით,
შესვი, გაგ[illegible]

შეშის განაწილების წესი საქალიჯუონდში

საქალიტფონდის გამგეობის დადგენილებით, მაგარი ᲮᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲨᲐ დაურიგდებათ მხოლოდ დიდი ტალოების ავტორებს—დრამატურგებს, ბელეტრისტებს, პოემისტებსა და კრიტიკოსებს.

რბილი ᲮᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲨᲐ დაურიგდება მხოლოდ და მხოლოდ ლირიკოს პოეტებს.

რაც შეეხება მსუბუქი ფორმების ავტორებს და იმ მწერლებს, რომელთა პიესები ჭრთ სცენაზე მეტს ვერ ცოცხლობენ სცენაზე—მათ დაურიგდებათ ფიზრი, რომელიც თავათ უნდა მოზიდონ ტყიდან სათანადო ტრანსპორტის სიმცირის გამო.

ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘ
საქალიჯუონდის გამგეობის დადგენილებიდან

მუხ. 17. 1944 წელს მოწეულ ღვინის წარმატებით და სავსებით შესმისათვის საგურამოს ბამფლის ხელმძღვანელობას და იქ მომუშავე შტატს გამოეცხადოს მხურვალე მადლობა. აღძრას საკითხი მათი ფულით დაჯილდოვების შესახებ.

მუხ. 18. საგურამოში არსებულ ლიტფონდის ბამფლს ამიერიდან ამ ასტრიფულ წარმატების აღსანიშნავად დარქვას „ᲚᲘᲢᲤ-ᲤᲝᲜᲓᲘ".

სიმღერამ იხსნა

კოწია და დავითი საუკეთესო მეგობრები არიან. კოწიას ლხინი დავითის ლხინია, დავითის ჭირი — კოწიას ჭირი. მაგრამ ერთხელ კოწიას ლხინი დავითს ჭირად გადაექცა.

ღამის 12 საათი იყო.

კარგად შეზარხოშებულნი გამოვიდნენ ჩვენი ნაცნობები მეგობარ ქალის, თამარის ბინიდან. სიმთვრალე ხომ ყველამ ერთნაირი არ იცის. კოწია მეტად მხიარულ გუნებაზე იყო: მღეროდა, ეხვეოდა და კოცნიდა საყვარელ მეგობარს. ეხვეწებოდა რომ ემღერა და ემხიარულა ღამის 12 საათზე „მზიან საქართველოს მზიან ქუჩებში". ჩვენებურად რომ ვთქვათ ჭინჭყლობდა.

დავითი დაფიქრებული დინჯად მიაბიჯებდა, დროგამოშვებით დასავარდნად გადაზნექილ ამხანაგს იჭერდა და აწყნარებდა.

კოწია არ ისვენებდა.

— გამხიარულდი, ჩემო დათკა, მითხარ რამე!

— რა უნდა გითხრა, ბიჭო, ამ შუაღამისას, ვიჩქაროთ სახლში.

— რა უნდა მითხრა? მე პირველს ვიტყვი, შენ ბანი მითხარი, გესმის? იმღერე, ჩემო დათკა, ჩემი თავი გენაცვალოს. აბა ჰა, არ მიმტყუნო, ვიწყებ.

და დაიწყო საშინელი ხრინწიანი ხმით, რომელიც გამგონს ცოდვით შეაძრწუნებდა.

ხრინწიანმა ხრიალმა იქვე ახლო პოსტზე მდგომი მილიციელი შეაშფოთა და თოფმომარჯვებული შურდულივით გაექანა იქითკენ, საიდანაც ეს ხრიალი ისმოდა.

— წამოდი! — დაუყვირა მან დავითს.

— საით?

— მილიციაში!

— რისთვის?

— განა ვერ დაგინახე, რომ ამ სიბნელეში კაცს ახრჩობდი? ალბად პალტოს გახდა გინდოდა. წამოდი მეთქი!

— არა, ხინდისს გეფიცებით, მღეროდა, ასეთი ხმა აქვს.

— წამოდი მეთქი, თავსაც რომ იმართლებს!

მილიციელმა ამ სიტყვებით უდანაშაულო დავითი მილიციაში წაიყვანა, რომელსაც ბუტბუტით მისდევდა მისი მეგობარი კოწია.

— დიახ, ძვირფასო მილიციელო, რამდენი ვემუდარე, რამდენი ვეხვეწე, არაფერი გამოვიდა მაგასთან!

დავითი წარუდგინეს სამილიციო უბნის უფროსს.

— ეს კაცი ამ მთვრალ კაცს ახრჩობდა ქუჩაში, ალბად რაიმე ბოროტი განზრახვით.

—წინ წამოდექით! — დაუყვირა მილიციის უფროსმა დავითს.

— სტყუის, — სცადა თავის მართლება დავითმა, მაგრამ მილიციელმა ხმა გააწყვეტინა.

— ჩემი თვალით დავინახე, სიბნელე რომ იყო, განა ვერ გავარჩიე როგორ წაუჭირე ხელი ყელში და საშინელი ხრიალი ამოუშვა საბრალომ.

— დიახ, ვეხვეწებოდი და არ იქნა, არ შემიბრალა, — იქნევდა ხელს დაბარბაცებული კოწო.

— რას ერჩოდი? — დაუბრიალა თვალები აცახცახებულ დავითს უფროსმა.

— გეფიცებით სინდისს სტყუის მილიციელი, როგორ დავახრჩობდი, საუკეთესო მეგობარია. მღეროდა ბატონო, მღეროდა.

მილიციელი ამ სიტყვებმა უფრო გააბრაზა:

— რაო, სიმღერას და ხრიალს ვერ ვარჩევ ერთმანეთისაგან, არა ერთი ამას უყურეთ!

შეშინებული დავითი მიუბრუნდა იქვე სკამზე ჩამომჯდარ ნახევრადდაძინებულ კოწოს, დაუჩოქა და ხვეწნა დაუწყო.

— იმღერე კოწია, ერთხელ კიდევ იმღერე, რომ ხალხი ჩემ სიმართლეში დავარწმუნო!

კოწო გამოფხიზლდა, თავი მაღლა აიღო, დაჩოქებულ ამხანაგს მიაპყრო ამღვრეული თვალები და მტკიცედ შესძახა:

— არ ვიმღერებ, გახსოვს რამდენი გეხვეწე და არ შემიბრალე. ამ ხალხმა კი შემიბრალა, ჯერ შენ იმღერე და მერე მე ვიმღერებ. ჩემ მუდარას რატომ არ ისმენდი, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, ბიჭო, განუყრელი მეგობრები.

ამ სიტყვებზე ცხარე ცრემლით აქვითინდა კოწო.

— ახლაც იტყვი ტყუისო! — მიუბრუნდა მილიციელი დავითს, — საბრალოს გაახსენდა როგორ ახრჩობდი და ტირის.

— მისმინე, კოწო, — ევედრებოდა დავითი, — დაპატიმრებას მიპირებენ კოწოს ახრჩობდიო, იმღერე, ბიჭო, შენი სიმღერა თუ მიხსნის, სხვა არაფერი!

— რაო? — თითქოს ეხლა გამოერკვა ჩვენი მომღერალი, ზეზე წამოვარდა. — გაპატიმრებენ? ვის, ჩემს სულის და გულის მეგობარს? ვის ახრჩობდი, რა თქვი ბიჭო? ჩემი სიმღერა გიხსნის! მაშ მე თუ ვიმღერებ, შენ გაგანთავისუფლებენ? აი შენ რომ არ აფასებდი ჩემ ხმას, შეხედე, ეს ხალხი როგორ აფასებს. ამ წუთში, დათკა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!

— ზესტაფონო-ო-ო ზესტაფონო გშორდები-ი-ი-ი!..

კიდევ უფრო შემაძრწუნებლად გაისმა კოწოს ხრინწიანი ხრიალი.

დავითის სიმართლეში დარწმუნებულმა მილიციელმა და უბნის უფროსმა მხიარული ოხუნჯობითა და სიცილით მიაცილეს კარებამდე განთავისუფლებული მეგობრები.

ქს. ხაფავა

შესაძლებელი შემთხვევა

ერთი ქარხნის ფიცრული სახოვრებლის კედლები და სახურავი უცნობმა მირებმა გაძარცვეს და შემდეგ დაწვეს.

[illegible]

ნახ. ი. ქოქიაშვილისა



1. საღამოს



2. შუაღამისას



3. დილას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლის აშენების ახალი მეთოდი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დედამიწის სფეროს სამ მეოთხედ ნაწილს წყალი შეადგენს. ისიც ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმის დიდი ნაწილი წყლისაგან შესდგება. ქვეყნად რომ არ იყოს წყალი, არ იქნებოდა სიცოცხლე.

წყალს ბევრგვარი გამოყენება აქვს ცხოვრებაში. ადამიანი წყალს სვამს, იბანს ხელპირს, ტანს, რეცხავს სარეცხს, აკეთებს საჭმელს წყლის დახმარებით, ერთი სიტყვით, ადამიანის ცხოვრებაში არ არსებობს მომენტი, როცა წყალი თავის ურთულეს როლს არ ასრულებდეს.

უკანასკნელ დროს წყალს მიეცა ახალი გამოყენება: ურევენ ღვინოში, რძეში და სხვა თხევად პროდუქტებში, რასაც დიდი სარგებლობა მოაქვს, რასაკვირველია, ამ პროდუქტების გამყიდველისათვის.

ამ შემთხვევაში ჩვენ წყალი გვაინტერესებს, როგორც სამშენებლო მასალა.

ძველად წყლის საშუალებით ხსნიდნენ კირს, ხრეშს და ამ სითხით აკრავდნენ აგურს აგურზე. ამნაირად შენდებოდა კედლები. სახლის მთლიანად დამთავრებისათვის საჭირო იყო კიდევ ხისა და რკინის მასალა, რასაც სჭირდებოდა საკმაო თანხის გაღება.

ამჟამად აღმოჩენილია სუფთა წყლისაგან სახლის აგების სრულიად ახალი, ძალიან იოლი მეთოდი. ამ მეთოდით სახლის აშენებისას უნდა გამოირიცხოს აგრეთვე სამშენებლო სამუშაო იარაღები: ჩაქუჩი, ...ელეჩო, ხერხი და სხვ. (გარდა გაზისა).

სახლი შენდება შემდეგნაირად:

ავიღებთ თავს და მივადგებით „თბილვაჭრობას“, ან არტელ „ლიმონათს“. აქ მოვძებნით ნაცნობს და მოვაკვარახჭინებთ წყლის გამყიდველის პატარა ადგილს. (ამ ოპერაციით სახლის საძირკველი უკვე ...აყრილია). ეს ადგილი წარმოადგენს პატარა კიოსკს, რომლის თავზე გამოკრულია წარწერა „გამაგრილებელი წყლები“.

ამის შემდეგ ავიღებთ უბრალო ნატახტარის წყალს და გაზს. რასაკვირველია არა იმ გაზს, რომელიც რკინისაგან არის გაკეთებული და მეორენაირად მარწუხს უწოდებენ, არამედ ჰაეროვან გაზს და ჩაუშვებთ წყალში. (გაზის უქონლობის შემთხვევაში შეიძლება ვიხმაროთ იხოლოდ სუფთა წყალი) ამას გარდა მოვიმარჯვებთ ზემოდნახსენებ მეორე სითხეს, რომელსაც ეწოდება—„სიროპი“.

მშენებლობის ოპერაცია დაწვრილებით ასე ხდება:

მოდის ჩვენთან სიცხისაგან გალექებული მომხმარებელი და გვეკითხება:

— გაზიანია?

— არა, გაზიანი გუშინ გვქონდა.—ვუპასუხებთ ჩვენ ზრდილობის ნიშნად.

— დაასხით.—ამბობს მომხმარებელი.

ამის შემდეგ ავიღებთ ჭიქას, გამოვრეცხავთ, (არც გამორეცხვაა აუცილებლად სავალდებულო). სიროპის ჩასხმის დროს ჭიქას ოცდაათი გრადუსით გადავაყირავებთ მომხმარებლისაკენ, რომ სიროპი შიგ ბლომად გამოჩნდეს და გავავსებთ სუფთა დუბელა წყლით. ამჟამად ჭიქაში გვაქვს თავიდანვე წყალგარეული და ამჟამად წყალში არეული 15 კაპეიკის სიროპი და უფასო ნატახტარი. ამ ოპერაციაში მომხმარებელი გვაძლევს 1 მანეთს. ამრიგად თითოეულ ასეთ პატარა ოპერაციაში გვრჩება 85 კაპეიკი, ე. ი. შენობის ერთი აგურის ერთი ნაწილი.

შენობა რომ მალე დავამთავროთ, საჭიროა ეს ოპერაცია გავიმეოროთ ყოველდღიურად 2000-ჯერ მაინც. დღეში 2000-ჯერ განმეორებული ეს ოპერაცია გვაძლევს:

$$\frac{2000 \times 85}{170000 \text{ კაპ.}}$$

ე. ი. 1700 მან. სამი თვის თავდადებული შრომის შედეგად ჩვენ ჯ ბეში ანაზღათ აღმოჩნდება დაახლოებით 150.000 მან.

ამრიგად ყოველგვარი სამშენებლო მასალისა და იარაღის გარეშე ჩვენ უკვე გვექნება ვაკეში ან საბურთალოში სუფთა წყლით აშენებული კოხტა სახლი.

1 რანგის ინჟინერ-კონსულტანტი—ვია

ტრამვაის გაჩერებასთან

ნახ. შ. ბერიტაშვილისა

— წამო ქაა, მაგას რას უყურებ, ალბად უსაქმოა და არ ეჩქარება.

— რაზე ატყობ?

— ვერა ხედავ ქა, ტრამვაის ელოდება.

ჩ ვ ე ნ ი ფ ო ს ტ ა

კიკო კაკულიას. (თუ ეს ნამდვილი სახელი და გვარია, ღმერთმა მოკახმაროსთ, მაგრამ თუ ფსევდონიმია, რა გაგიჭირდათ მაგის ფასი!). ...იწერებით:

„გაჭანებულმა ტრამვაიმ ჩამიქროლა, მისაბმელ ვაგონიდან ვიღაც გადმოხტა და მიიმალა, იქვე მდგომმა მილიციელმა „ტრამვაიდან გადმოხტომისათვის მე დამაჯარიმა, ვერასგზით ვერ დავაჯერე, რომ იმ დღეს ტრამვაიში სრულიად არ ...მჯდარვარო.“

ხდება ამხ. კიკო, ასეთი შეცდომები.

ჩვენს რედაქციას უფრო უცნაური ცნობაც მოეპოვება:

ა/წ. მარტის პირველ რიცხვებში ღამის თორმეტ საათზე ჯაფა...იძის ქუჩით შინ მშვიდობიანად მიემართებოდა ყოვლად უწყინარი ...ხანაგი, ფიზიკურად არც თუ ისე ჩაფოლადებული ვაჟკაცი.

ფიქრით გაბრუებულს, უეცრად, თქარა-თქურით, სამი კამე...სოდენა ვაჟკაცი წამოეწია და დაუზოგავად დაუწყეს თავ პირში ...ემა, ისე რომ უდანაშაულო ამხანაგს ხმაც არ ამოაღებინეს. როცა ...ი ცემა-ტყეპით მიასავათეს, ერთ-ერთმა თავდამსხმელმა უეცრად ...ხანაგები შეაჩერა და იყვირა: „ბიჭებო, ეს ის არ არისო“. და მა...ნ, როცა უტვინო, გონებაშეზღუდულ თავდამსხმელებს ეგონათ, ...ომ მიწაზე გაშხლართულს სალი აზროვნების უნარი დაკარგული ...ნებაო, ამ უკანასკნელმა მოხდენილი გონებამახვილობით ჩაუნის...რტა (თუ აუნისკარტა!) მათ:

„მე თქვენზე ადრე ვიცოდი, რომ ის არ ვიყავიო“.

აი ასეთი შეცდომებიც ხდება ქვეყნად, ამხანაგო კიკო!

წმინდა იაკობს. (უნივერსიტეტი) გვწერთ: სტუდენტთა სასადი...ოში „ვიღაცამ ჩემს თავზემოდ დუში მოაწყო და ცოდვებისაგან ...ბანილი გამოვვარდი გარედო“; (აი თურმე საიდან მიგიღიათ ...ევდონიმი). თუ ყველაფერი მართალია, რასაც თქვენ ამ სასადი...ის სიბინძურის შესახებ იწერებით, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ...ადილოს დირექციას მტკიცედ ჰქონია გადაწყვეტილი წმინდანებით ...ფინოს საქართველო.

არქ-ოს. (გაგრა) გაგრის № 10 სასადილოს შესახებ გვწერთ, რომ მის გამგეს გრიშა გავაშელს ჰქონია:

„ახალი გამოგონება:
კვირაში ერთხელ სადილი“.

და შემდეგ:

„შეხედეთ გრიშა გავაშელს
თავში რა აზრი ჰქონია,
თვითონ რომ დღეში ათჯერ სჭამს —
სხვებიც მაძღარი ჰგონია“.

ასეთი მასპინძელი გყოლიათ გაგრაში და მაინც სააგარაკოთ გვეპატიჟებით?

„სააგარაკოთ გვესტუმრე
წამოვწვეთ ნაძვქვეშ გრილოში
მაგრამ სადილს ნუ მოელით
ათ ნომერ სასადილოში“.

თუ ეს მართლა ასეა, ნიანგს თვითონ სასადილოს გამგე, გრიშა გავაშელი შემოეჭმება უთუოდ.

გუტო გორისელს. (ზესტაფონი) ელექტრომონტიორების საკითხი, ეს ძველისძველი და საყოველთაოდ თავსატეხი საკითხია და ზესტაფონიც ამ შემთხვევაში გამონაკლისი, რასაკვირველია, ვერ იქნება. იწერებით: „თეატრს, კინოს, სტამბას ხშირად არა აქვთ სინათლე, ხოლო ნოე გეწაძის საყასბო დღედაღამ გაჩირაღდნებულიაო“. საყასბო, ამხ. გორისელო, ჯოჯოხეთია ცხოველებისათვის და ალბად იმიტომ ანათებენ ელექტრომონტიორები.

რაც შეეხება კინოს, რაიმენაირად შეიყვანეთ შიგ, რომელიმე სურათის სანახავად, ის თქვენი რაიონის ელ-ქსელის უფროსი ქათამაძე და ვნახოთ რა არწივის თვალები აღმოაჩნდება.

გასწორება

ჟურნალ „ნიანგის“ № 5-ში დაბეჭდილი იყო რაიონებიდან შემოსული კორესპონდენციების მიმოხილვა—„ჩვენი ფოსტა“ (გვ. 7). აღნიშნულ მასალაში არასწორად იყო დასახელებული სახკომსაბჭოსთან არსებული ფრონტელთა ოჯახების დამხმარე რესპუბლიკური ორგანიზაციის სახელწოდება და შეცდომით იყო მოხსენებული საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **კ. თარგამაძე.**

ყველა გზა სახრჩობელისკენ

ნახ. დონისა

— რომელი გზით გავიქცეთ, ფიურერ?
— რომელ მხარესაც არ მივაბრუნე, ეს ოხერი კომპასი, სულ ერთი გზისკენ მიჩვენებს.

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги". რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1945 წ. 24/IV სახ. ლ. პ. ბერიას პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28. გამოც. № 24. შეკ. № 567, უე № 01739.

ეროვნული ბიბლიოთეკა